ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4696824

ნომერი: AR1709931

თარიღი : 30.09.2019

გაცემის თარიღი : 07.10.2019

გაცნობის თარიღი : 07.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარ მეფის გამზირი N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი ციმაკურიძე პ/ნ 01011076949
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, თამარ

მეფის გამზირი #18-ში, შპს „ეკა“ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ღიობის რეკონსტრუქციას (მასალის ცვლილება).

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018534102 02/07/2018წ. საკადასტრო კოდი N 01.13.07.026.003.01.506, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სექტორი-დიდუბე, თამარ მეფის გამზირი #18-ში, შპს „ეკა“ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ღიობის რეკონსტრუქციას (მასალის ცვლილება) შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ, განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობანაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული ნახაზები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.